- *გ) გუგების შევიწროებით
- დ) სეკრეციის გაძლიერებით

661. M-ქოლინოლიტიკების მოქმედება გამოვლინდება:

- ა) სუნთქვის ცენტრის დათრგუნვით და ღამბლით
- ბ) დათრგუნვით და კომით
- *გ) სეკრეციის შემცირებით
- დ) სეკრეციის მომატებით

662. H-ქოლინოლიტიკების მოქმედება გამოვლინდება:

- ა) ჰალუცინაციებითა და ფსიქომოტორული აგზნებით
- ბ) გუგების გაფართოებით
- *გ) გუგების შევიწროებით
- დ) კრუნჩხვებით და ნაწლავების სპაზმით

663. ადრენერგული ნივთიერებების მოქმედება არ გამოვლინდება:

- ა) ტაქიკარლიით
- *ბ) ბრადიკარლიით
- გ) კრუნჩხვებითა და ჰალუცინაციებით
- დ) აგზნებითა და არტერიული წნევის მომატებით

664. საძილე ნივთიერებებით მოწამლვისას სიკვდილის მიზეზია:

- ა) ღვიძლის მწვავე უკმარისობა
- ბ) სასუნთქი კუნთებისა და ღიაფრაგმის ღამბლა
- *გ) სუნთქვის ცენტრის ღამბლა
- დ) სისხლძარღვოვანი ცენტრის ღამბლა

665. ალკოჰოლის გოქსიური მოქმედების მექანიზმია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ჰიპოქსიური მოქმედება
- გ) ჰიპოგლიკემიური მოქმედება
- დ) გულის გამტარებლობისა და აგზნებადობის მოშლა
- ე) ნარკოტიკული მოქმედება ცნს-ზე

666. ალკოჰოლის გოქსიკოლინამიკის ფაზებია: 1. რემორბცია; 2. ელიმინაცია; 3. დაჯანგვა; 4. ქსოვილებში ღებინიერება

- ა) 2. და 4.

- ბ) 1. და 3.
- გ) 3. და 4.
- *დ) 1. და 2.

667. ალკოჰოლით მოწამლვისას სიკვდილს არ იწვევს:

- *ა) ცნს-ის ზემოლურბლოვანი ღათორგუნვა
- ბ) ჰიპოგლიკემიური კომა
- გ) გულის პარკუჭების ფიბრილაცია
- დ) სუნთქვის ცენტრის დამბლა

668. რა საკითხი შეიძლება გადავწყვიტოთ ალკოჰოლის აღმოჩენისას მხოლოდ შარდში:

- ა) მიღებული ალკოჰოლის რაოდენობა
- ბ) ალკოჰოლური სიმთვრალის ხარისხი
- *გ) ალკოჰოლის მიღების ფაქტი და ხანდაზმულობა

669. ალკოჰოლის ენგვის კოეფიციენტი ("ბეგა") დამოკიდებულია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ორგანიზმის ტრავმებსა და პათოლოგიურ პროცესებზე
- გ) ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე
- დ) ალკოჰოლის მაქსიმალურ კონცენტრაციაზე

670. სისხლში ალკოჰოლის როგორ კონცენტრაციას შეესაბამება მსუბუქი ხარისხის სიმთვრალე:

- ა) 3,5 ‰-ზე მეტი
- ბ) 2,5-3 ‰
- გ) 1,5-2,5 ‰
- *დ) 0,5-1,5 ‰
- ე) 0,3 ‰-ზე ნაკლები

671. სისხლში ალკოჰოლის როგორ კონცენტრაციას შეესაბამება საშუალო ხარისხის სიმთვრალე:

- ა) 3,5 ‰-ზე მეტი
- ბ) 2,5-3 ‰
- *გ) 1,5-2,5 ‰
- დ) 0,5-1,5 ‰
- ე) 0,3 ‰-ზე ნაკლები

672. სისხლში ალკოჰოლის როგორ კონცენტრაციას შეესაბამება მძიმე ხარისხის სიმთვრალე:

- ა) 3,5 ‰-ზე მეტი
- *ბ) 2,5-3 ‰
- გ) 1,5-2,5 ‰
- დ) 0,5-1,5 ‰
- ე) 0,3 ‰-ზე ნაკლები

673. მიღებული ალკოჰოლის რაოდენობისა და მიღების ხანდაზმულობის დასადგენად რა უნდა გადაიგზავნოს სასამართლო ქიმიური გამოკვლევისათვის:

- *ა) სისხლი, შარდი, ლიქვორი და კუჭის შიგთავსი
- ბ) შარდი და კუჭის შიგთავსი
- გ) სისხლი და კუჭის შიგთავსი
- დ) სისხლი და ლიქვორი
- ე) სისხლი და შარდი

674. რის საფუძველზე დგინდება ალკოჰოლური სიმთვრალის ხარისხი:

- *ა) სისხლში და შარდში ალკოჰოლის რაოდენობრივი განსაზღვრის საფუძველზე, სიმთვრალის კლინიკური სურათის გათვალისწინებით
- ბ) სისხლში და შარდში ალკოჰოლის რაოდენობრივი განსაზღვრის საფუძველზე
- გ) სიმთვრალის კლინიკური გამოვლინების საფუძველზე
- დ) სისხლში ალკოჰოლის რაოდენობრივი განსაზღვრის საფუძველზე

675. ორგანიზმზე უმალესი სპირტების გოქსიური მოქმედების მექანიზმი არ არის:

- *ა) ქსოვილოვანი სუნთქვის ფერმენტების ბლოკირება
- ბ) შეუქცევადი ქსოვილოვანი აციდომის განვითარება
- გ) ცნს-ზე პირდაპირი ნარკოტიკული მოქმედება

676. სოკობით სასიკვდილო მოწამლვის დიაგნოზის დადასტურებისათვის აუცილებელია: 1. შინაგანი ორგანოების სპეციფიკური მკროსკოპული და მიკროსკოპული ცვლილებების გამოვლენა; 2. შხამის აღმოჩენა სასამართლო ქიმიური გამოკვლევით; 3.

სოკოების ნარჩენების აღმოჩენა მიკოლოგიური გამოკვლევით; 4. ბიოლოგიური სინჯის ჩატარება ლაბორატორიულ ცხოველზე

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 3.

*გ) 3. და 4.

დ) 1. და 2.

677. კვებითი გოქსიკონიფექციით სიკვდილისას მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის არ იგზავნება:

ა) საკვები პროდუქტების ნარჩენები

ბ) სისხლი გულიდან

*გ) რეგიონული ლიმფური კვანძი

დ) კუჭისა და ნაწლავის შიგთავსი

678. ბოტულიზმის დიაგნოზის დადასტურებისათვის აუცილებელი არ არის ჩატარდეს:

ა) ბიოლოგიური სინჯი ლაბორატორიულ ცხოველზე

ბ) მიკრობიოლოგიური გამოკვლევა

*გ) ჰისტოლოგიური გამოკვლევა

679. როგორი პროდუქტებით მოწამლვა ეკუთვნის საკვებით ჭეშმარიტ მოწამლვას:

ა) ტექნოლოგიის დარღვევით მომზადებულები

ბ) შემთხვევით შეძენილი შხამიანი თვისებებით

გ) რომლებსაც განზრახ მიანიჭეს შხამიანი თვისებები

*დ) თავისი ბუნებით, ყოველთვის ან ღროებით შხამიანი

680. კვებით გოქსიკონიფექციებს იწვევს:

ა) საკვებში არსებული მიკრობული გოქსინები

ბ) პროდუქტები, დაინფექტებული მიკრობებით, რომლებიც იწვევენ ინფექციურ ავადმყოფობებს

*გ) პროდუქტები, დაინფექტებული მიკრობებით, რომლებიც გამოყოფენ გოქსინებს

681. კვებით ინტოქსიკაციებს იწვევს:

*ა) საკვებში არსებული მიკრობული გოქსინები

ბ) პროდუქტები, დაინფექტებული მიკრობებით, რომლებიც იწვევენ ინფექციურ ავადმყოფობებს

გ) პროდუქტები, დაინფექტებული მიკრობებით, რომლებიც გამოყოფენ გოქსინებს

682. სალმონელოზი ეკუთვნის:

ა) კუჭ-ნაწლავის ინფექციურ ავადმყოფობებს

*ბ) კვებით გოქსიკონიფექციებს

გ) კვებით ინტოქსიკაციებს

683. ბოტულიზმი ეკუთვნის:

ა) კუჭ-ნაწლავის ინფექციურ ავადმყოფობებს

ბ) კვებით გოქსიკონიფექციებს

*გ) კვებით ინტოქსიკაციებს

ცოცხალ პირთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა

684. სამედიცინო თვალსაზრისით, სხეულის დაზიანებად ითვლება:

*ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) ორგანოებისა და ქსოვილების ანატომიური მთლიანობისა და ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა გარემოს ფაქტორების მოქმედების შედეგად

გ) ორგანოებისა და ქსოვილების ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა

დ) ორგანოებისა და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევა

685. რის საფუძველზე ტარდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ჯანმრთელობის დარღვევის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის მიზნით:

ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) სამკურნალო დაწესებულების მომართვის

გ) სასწრაფო დახმარების სადგურის თანმხლები ფურცლის

*დ) სამართალდამცავი ორგანოების დადგენილების

686. რა დოკუმენტის სახით ფორმდება ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები:

*ა) ექსპერტის დასკვნა

ბ) სასამართლო სამედიცინო შემოწმების აქტი

გ) შემოწმების ოქმი

687. ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დარღვევის ნიშნებია: 1. ჯანმრთელობის დარღვევა, დაკავშირებული საერთო შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვასთან არანაკლებ ერთი მესამედისა; 2. სიცოცხლისთვის სახიფათო; 3. ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა ორ თვეზე მეტი ხნით; 4. საერთო შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად

- ა) 2. და 4.
- ბ) 1. და 3.
- გ) 1., 2. და 3.
- *დ) 1. და 2.

688. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დარღვევის ნიშნებია: 1. სიცოცხლისთვის სახიფათო; 2. ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა 21 დღეზე მეტი ხნით; 3. საერთო შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად; 4. ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა

- ა) 2. და 4.
- ბ) 1. და 3.
- *გ) 2. და 3.
- დ) 1. და 2.

689. ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დარღვევის ნიშნებია: 1. ჯანმრთელობის დარღვევა, დაკავშირებული საერთო შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვასთან არანაკლებ ერთი მესამედისა; 2. საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მყარი დაკარგვა; 3. ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა

- ა) 1., 2. და 3.
- *ბ) 2. და 3.
- გ) 1. და 2.

690. ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ქვეშ იგულისხმება დაზიანებასთან უშუალოდ დაკავშირებული მოშლა შემდეგი ხანგრძლივობით:

- ა) 20 დღე
- *ბ) 21 დღეზე მეტი
- გ) 10 დღე

691. საერთო შრომისუნარიანობის რამდენი პროცენტით მყარი დაკარგვა მიეკუთვნება ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დარღვევას:

- ა) 10 %-მდე
- *ბ) 33 %-ზე მეტი
- გ) 33 %-მდე

692. საერთო შრომისუნარიანობის რამდენი პროცენტით მყარი დაკარგვა მიეკუთვნება ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დარღვევას:

- ა) 15 %
- *ბ) 10 %-მდე
- გ) 33 %-ზე მეტი
- დ) 33 %-მდე

693. დაზიანებასთან უშუალოდ დაკავშირებული ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ხანგრძლივობაა: 1. 6 დღეზე მეტი; 2. 21 დღეზე მეტი; 3. 10 დღე

- ა) 1., 2. და 3.
- ბ) 2. და 3.
- *გ) 1. და 3.

694. მიიღება თუ არა მხედველობაში სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებების შეფასებისას სასიკვდილო გამოსავლის თავიდან აცილება სამედიცინო ღაზმარების აღმოჩენით:

- ა) მიიღება მხედველობაში ცალკეულ შემთხვევებში
- *ბ) არ მიიღება მხედველობაში
- გ) მიიღება მხედველობაში

695. სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებს მიეკუთვნება დაზიანება, რომელიც:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) დაზარალებულს უქმნის სიცოცხლის საფრთხეს
- გ) თავისი ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მთავრდება სიკვდილით
- დ) დაზარალებულს უქმნის სიცოცხლის საფრთხეს მისი მიყენების მომენტში
- ე) დაზარალებულს უქმნის სიცოცხლის საფრთხეს მისი კლინიკური მიმდინარეობის დროს

696. რომელია სიცოცხლისათვის არასახიფათო დაზიანება, რომელიც მიეკუთვნება მძიმეს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) გრავით გამოწვეული სულიერი ავადმყოფობა
- გ) ორგანოს დაკარგვა
- დ) ორგანოს ფუნქციის დაკარგვა
- ე) მხედველობის დაკარგვა

697. ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი ვალდებულია დაადგინოს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) დაზიანების ხარისხი
- გ) მექანოგენები
- დ) ლოკალიზაცია და ხანდაზმულობა
- ე) დაზიანების არსებობა და მისი ხასიათი

698. ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ხელმძღვანელობს: 1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით; 2. სისხლის სამართლის კოდექსით; 3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით

- ა) 1., 2. და 3.
- *ბ) 2. და 3.
- გ) 1. და 3.

699. ვისი თანდასწრებით და მონაწილეობით ტარდება ცოცხალ პირთა შემოწმება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სასამართლო სამედიცინო ექსპერტის
- გ) ექიმის
- დ) თანამოწმეების
- ე) გამოძიებლის

700. ცოცხალ პირთა შემოწმების წარმოებაზე პასუხისმგებელია: 1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტი; 2. გამოძიებელი; 3. სასამართლო; 4. ექიმი

- ა) 2. და 4.
- ბ) 1. და 3.
- *გ) 2. და 3.
- დ) 1. და 4.

701. ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას ატარებს: 1. მკურნალი ექიმი; 2. სასამართლო სამედიცინო ექსპერტი; 3. ექიმი-ექსპერტი; 4. ფელდშერი

- ა) 2. და 4.
- ბ) 1. და 3.
- *გ) 2. და 3.
- დ) 1. და 4.

702. სსსკ თანახმად, ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ტარდება, გარდა:

- ა) ბრალდებულის, ეჭვმიტანილის და სხვ. ფიზიკური მდგომარეობის დასადგენად
- ბ) ბრალდებულის, ეჭვმიტანილის და სხვ. ასაკის დასადგენად
- გ) სხეულის დაზიანების ხასიათის დასადგენად
- *დ) ბრალდებულის, ეჭვმიტანილის და სხვ. ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად

703. სხეულის დაზიანებათა შედეგებია (გამოსავალი), გარდა:

- ა) ორგანოს ფუნქციის დაკარგვა
- *ბ) სიცოცხლისათვის საშიშროება
- გ) ჯანმრთელობის ხანგრძლივი ან ხანმოკლე მოშლა
- დ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა სხვადასხვა ხარისხით

704. ვისი შემოწმების ჩატარების უფლებას იძლევა კანონი:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) მოწმის
- გ) დაზარალებულის
- დ) ეჭვმიტანილის
- ე) ბრალდებულის

705. თავის გვინისა და ქალას რომელი დაზიანებაა სიცოცხლისათვის საშიშროება:

- ა) ყველა ზემოჩამოთვლილი
- ბ) სახის ძვლების ღია მოგებილობები

გ) თავის გვინის სამუალო ხარისხის დაქვეილება

*დ) ქალას ღრუში შემავალი ჭრილობები

706. რა ნიშნით კვალიფიცირდება მურგის გვინის გულმკერდის სეგმენტების დაზიანება თანმხლები მძიმე სპინალური შოკით:

ა) ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა

ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა არანაკლებ ერთი მესამედისა

*გ) სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება

707. რა ნიშნით არ კვალიფიცირდება გულმკერდის ერთი ან რამდენიმე მალის მოგეხილობა, ან მოგეხილობა-ამოვარდნილობა, მურგის გვინის ფუნქციის მოშლის გარეშე:

ა) ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა

ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებად

*გ) სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება

708. ჯანმრთელობის დაზიანების გამო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება, რათა დადგინდეს:

*ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) დაზიანებათა შედეგები

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობა

დ) საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვის მოცულობა

ე) დაზიანების ხასიათი და სიმძიმის ხარისხი

709. სახის წარუხოცელი დაზიანებების ფაქტს ადგენს: 1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტი; 2. ექიმი-კოსმეტოლოგი; 3. სასამართლო; 4. გამომძიებელი

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 3.

*გ) 3. და 4.

დ) 1. და 4.

710. სახეზე დაზიანების კვალის გამოსწორების ქვეშ არ იგულისხმება:

*ა) კოსმეტიკური ოპერაციით პათოლოგიური ცვლილებების გამოხატვის მნიშვნელოვანი შემცირება

ბ) არაქირურგიული საშუალებების მოქმედებით პათოლოგიური ცვლილებების გამოხატვის მნიშვნელოვანი შემცირება

გ) ღრთა განმავლობაში პათოლოგიური ცვლილებების გამოხატვის მნიშვნელოვანი შემცირება

711. სახეზე დაზიანების კვალის გამოსწორების შესაძლებლობას წყვეტს:

ა) ქირურგი

*ბ) სასამართლო სამედიცინო ექსპერტი

გ) ექიმი-კოსმეტოლოგი

დ) სასამართლო

712. მხედველობის დაკარგვად ითვლება: 1. სრული განუკურნებელი სიბრმავე ორივე თვალით; 2. მდგომარეობა, როცა მხედველობა დაქვეითებულია 2 მ-ზე და უფრო ნაკლებ მანძილზე თითების თვალამდე; 3. მხედველობის დაქვეითება 0,05-მდე; 4. ერთი თვალის აკომოდაციის დაშლა

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 3.

გ) 3. და 4.

*დ) 1. და 2.

713. სმენის დაკარგვად ითვლება: 1. სრული განუკურნებელი სიყრუე; 2. სიყრუე ერთი ყურით; 3. მდგომარეობა, როცა დაზარალებულს არ ესმის ლაპარაკი 3-5 მ მანძილზე ყურის ნიჟარიდან; 4. მდგომარეობა, როცა დაზარალებულს არ ესმის ჩურჩული 1 მ მანძილზე ყურის ნიჟარიდან

ა) 2. და 3.

ბ) 1. და 2.

გ) 2. და 4.

*დ) 1. და 3.

714. რის დასადგენად ინიშნება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულის დროს, გარდა:

*ა) საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევის

ბ) მამათმავლობის

გ) გარყვნილი ქმედების

დ) სქესობრივი კავშირის

715. რის დასადგენად ინიშნება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ნორმალური სქესობრივი ფუნქციების კვლევის დროს, გარდა:

- *ა) გაუპატიურების
- ბ) ჩასახვისა და განაყოფიერების უნარის
- გ) ორსულობის არსებობის
- დ) სქესობრივი შეუღლების უნარის
- ე) ჭეშმარიტი სქესის

716. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება, რათა განისაზღვროს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ვენერიული სენის შეყრა
- გ) სიმთვრალის მდგომარეობა და ხარისხი
- დ) პიროვნების იდენტიფიკაცია
- ე) ასაკი

717. ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ადგილი არ არის:

- *ა) ექსპერტის ბინა
- ბ) სასამართლოს შენობა
- გ) გამომძიებლის ოთახი
- დ) პოლიკლინიკა
- ე) ამბულატორია

718. ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ფორმაა:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) განმეორებითი
- გ) პირველადი სპეციალისტ-კონსულტანტთან ერთად
- დ) დამატებითი
- ე) პირველადი ერთპიროვნული

719. ცოცხალ პირთა რომელი სახის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროს არის აუცილებელი რამდენიმე ექსპერტის მონაწილეობა:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სამეანო-გინეკოლოგიური
- გ) განმეორებითი
- დ) პირველადი ექსპერტიზისას განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში
- ე) შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის დასადაგენად

720. ბრალდებულის, დაზარალებულის და სხვათა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე დასწრების უფლება აქვს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილს
- ბ) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს
- გ) დამხმარე სამედიცინო პერსონალს
- დ) გამომძიებელს

721. მენჯის ძვლების მოგებილობა არ არის მძიმე ხარისხის, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო, თუ თან ახლავს:

- *ა) სწორი ნაწლავის ქვემო მესამედის დაზიანება
- ბ) მენჯის ორგანოების დაზიანება
- გ) მწვავე მასიური სისხლდენა
- დ) მძიმე ხარისხის შოკი

722. ხელისა და ფეხის დაკარგვის ქვეშ არ იგულისხმება:

- *ა) მტეხნის ან გერფის ამპუტაცია
- ბ) ფეხის ამპუტაცია მუხლის სახსრის ღონებზე
- გ) ხელის ამპუტაცია იდაყვის სახსრის ღონებზე
- დ) მთელი ხელის ან ფეხის მოცილება სხეულიდან

723. გემო კიღურის დაკარგვა წინამხრის შუა მესამედის ღონებზე კვალიფიცირდება, როგორც:

- ა) ორგანოს დაკარგვა
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- *გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) სიცოცხლისათვის სახიფათო

724. ერთი სათესლის დაკარგვა კვალიფიცირდება, როგორც:

- ა) განაყოფიერების უნარის დაკარგვა
- *ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) სიცოცხლისათვის სახიფათო

725. გრავით გამოწვეული მტენის ფუნქციის დარღვევა კვალიფიცირდება, როგორც:

- ა) ორგანოს დაკარგვა
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- *გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) სიცოცხლისათვის საშიშროებით

726. ხორხის ან გრაქის ხრტილების დაზარალებული მოგეხილობები ლორწოვანი გაგლეჯით, რომელსაც თან არ ახლავს მძიმე ხარისხის შოკი ან სუნთქვის მოშლა, კვალიფიცირდება, როგორც:

- ა) ორგანოს დაკარგვა
- *ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) სიცოცხლისათვის საშიშროებით

727. სხეულის დაზიანებათა განხილვისას კანონი არ ითვალისწინებს:

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) დაზიანებით მიყენებულ ჯანმრთელობის ზიანს
- *გ) სიცოცხლისათვის დაზიანების მიყენების მეთოდის საშიშროებას
- დ) სიცოცხლისათვის დაზიანების საშიშროებას

728. როდის მიიღება მხედველობაში დაზიანების გამოსავალი სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისათვის:

- ა) ორივე შემთხვევაში
- *ბ) სიცოცხლისათვის არასაბიფათო დაზიანებისას
- გ) სიცოცხლისათვის საბიფათო დაზიანებისას

729. დაზიანების გამოსავალი არ აისახება:

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- *ბ) სიცოცხლისათვის საბიფათობაში
- გ) ჯანმრთელობის ხანგრძლივ ან ხანმოკლე მოშლაში
- დ) საერთო შრომისუნარიანობის სხვადასხვა ხარისხით მყარ დაკარგვაში

730. ქალასშიდა იმოღივრებული გრავიული სისხლჩაქცევები - ეპიდურული, სუბურული, თვინშიდა - არ ჩაითვლება სიცოცხლისათვის საბიფათოდ, თუ თან ახლავს:

- *ა) ორგანიზმის ფუნქციების რეფლექსური დარღვევები
- ბ) ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების მოშლა
- გ) გვინის ღეროს ცლომის ნიშნები
- დ) თავის გვინზე ზეწოლის სიმპტომები

731. როგორი ცნებაა გაუპატიურება:

- ა) ბიოლოგიური
- ბ) საყოფაცხოვრებო
- *გ) იურიდიული
- დ) სამედიცინო

732. როგორი ცნებაა ცემა:

- ა) ბიოლოგიური
- ბ) საყოფაცხოვრებო
- *გ) იურიდიული
- დ) სამედიცინო

733. როგორი ცნებებია გვემა და წამება:

- ა) ბიოლოგიური
- ბ) საყოფაცხოვრებო
- *გ) იურიდიული
- დ) სამედიცინო

734. საქალწულე აპკის დარღვევა კვალიფიცირდება, როგორც:

- ა) ორგანოს დაკარგვა
- *ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) სიცოცხლისათვის საბიფათოდ

735. ფეხის დაზიანების დროს, რომლის ფუნქცია დაკარგული იყო გრავამდე, დაზიანების სიმძიმის ხარისხი განისაზღვრება:

- ა) ორგანოს დაკარგვის კრიტერიუმით

- ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- *გ) ჯანმრთელობის ფაქტიური მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით

736. გულმკერდის კანქვეშა ემფიზემის განვითარების მიზეზი არ არის:

- ა) ჭრილობის კვლევის რბილი ქსოვილების დაზიანება
- ბ) გულმკერდის ჭრილობის მიდამოში გამწვანებულქმნიელი ფლეგმონის განვითარება
- *გ) კელის ამჟღავნებელი პლევრის დაზიანება
- დ) ფილტვის გაგლეჯა კელის ამჟღავნებელი პლევრის დაზიანებით

737. რით არ დასტურდება გულმკერდის ჭრილობის შემაჯობა:

- ა) ფილტვის კოლაფსით
- *ბ) კანქვეშა ემფიზემით
- გ) ჰემოთორაქსით
- დ) პნევმოთორაქსით

738. დასაშვებია თუ არა ჯანმრთელობის დაზიანებათა სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტებით:

- *ა) დასაშვებია მხოლოდ დაზარალებულის არარსებობის დროს
- ბ) არ არის დასაშვები
- გ) დასაშვებია

739. რომელი დაზიანებაა მხოლოდ ლოკალური:

- ა) სისხლნაყენითი
- ბ) მოგეხილობა
- გ) ჭრილობა
- *დ) ნაჭლევი

740. შესაძლებელია თუ არა დაზიანების ხასიათის განსაზღვრა ნაწიბურის მიხედვით:

- *ა) შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში
- ბ) არ არის შესაძლებელი
- გ) შესაძლებელია

741. “საერთო შრომისუნარიანობის” ცნებაში იგულისხმება:

- *ა) აღამიანის უნარი, შეასრულოს არაკვალიფიციური სამუშაო
- ბ) აღამიანის უნარი, შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო
- გ) აღამიანის თვითმომსახურების უნარი

742. როდის ისაზღვრება შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა: 1. დაზიანების გამოსავლის ჩამოყალიბების შემდეგ 2.

ამბულატორიული მკურნალობის დასრულების შემდეგ; 3. დაზიანების შეხორცების შემდეგ; 4. დროებითი შრომისუნარიანობის ფურცლის დახურვის შემდეგ

- ა) 2. და 3.
- ბ) 1., 2. და 3.
- გ) 2. და 4.
- *დ) 1. და 3.

743. რომელი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტი განსაზღვრავს ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების რეგლამენტს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ჯანმრთელობის დაზიანებათა სიმძიმის ხარისხის სასამართლო სამედიცინო განსაზღვრის წესები
- გ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- დ) სისხლის სამართლის კოდექსი

744. სასამართლო საგამოძიებო ორგანოების მიერ ცემის, გვემისა და წამების ფაქტის დადგენის შემთხვევაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტი არ საზღვრავს:

- *ა) გვემისა და წამების ფაქტს
- ბ) დაზიანებათა წარმოქმნის მექანიზმს
- გ) დაზიანების მიყენების მრავალჯერალობას
- დ) დაზიანების ხანდაზმულობას
- ე) დაზიანების სიმძიმის ხარისხს

745. როგორია მხრის არტერიის დაზიანების სიმძიმის ხარისხი, თუ ავადმყოფს აღმოუჩინეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება და იგი გაეწერა სტაციონარიდან მე-14 დღეს:

- ა) მსუბუქი
- ბ) ნაკლებად მძიმე
- *გ) მძიმე

746. რეგროპერიტონული სივრცის ორგანოების ღია ჭრილობები განისაზღვრება:

- ა) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- *გ) როგორც სიცოცხლისათვის საშიფათო

747. სწორი ნაწლავის შუა ნაწილის შემავალი ჭრილობა განისაზღვრება:

- ა) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- *გ) როგორც სიცოცხლისათვის საშიფათო

748. საელაპავის ან ხახის დამწვრობით გამოწვეული შევიწროება, რომელიც იწვევს საკვების გამავლობის გაძნელებას, განისაზღვრება:

- ა) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- *ბ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- გ) როგორც სიცოცხლისათვის საშიფათო

749. როდის უნდა შეიკავოს თავი სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისაგან:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სამკურნალო დაწესებულების სამედიცინო დოკუმენტების არარსებობის დროს
- გ) როცა გამოსაკვლევი პირი უარს აცხადებს განმეორებით გასინჯვამდე
- დ) სიცოცხლისათვის არასაშიფათო დაზიანების გამოსავლის გაურკვეველობისას
- ე) როცა კლინიკური სურათი ნათელი არ არის

750. დასაშვებია თუ არა წინასწარი სავარაუდო დასკვნების გამოგანა ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესახებ:

- ა) დასაშვებია ცალკეულ შემთხვევებში
- *ბ) არ არის დასაშვები
- გ) დასაშვებია

751. თუ თვალის გრავამდე არსებული კორექცია შეუძლებელი გახდა გრავმის შემდეგ, საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის პროცენტი განისაზღვრება:

- ა) სხვაობით გრავამდე და გრავმის შემდეგ მხედველობის სიმახვილეს შორის
- *ბ) სხვაობით გრავამდე კორექციით მხედველობის სიმახვილესა და გრავმის შემდეგ მხედველობის სიმახვილეს შორის, როცა კორექცია შეუძლებელი გახდა
- გ) სხვაობით გრავამდე და გრავმის შემდეგ მხედველობის სიმახვილეს შორის, სადაც გრავამდე მხედველობის სიმახვილე ჩაითვლება 1,0 -ად

752. გათვალისწინებულ უნდა იქნას თუ არა თვალის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისას მხედველობის სიმახვილის შესაძლო კორექცია ოპტიკური მინებით როგორც გრავმის წინ, ასევე მის შემდეგ:

- ა) უნდა იქნას გათვალისწინებული მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში
- *ბ) არ უნდა იქნას გათვალისწინებული
- გ) უნდა იქნას გათვალისწინებული

753. მხედველობის ორგანოს დაზიანების მყარი გამოსავალი (ნარჩენი მოვლენა) არ არის:

- *ა) ქრონიკული კონიუნქტივიტი
- ბ) აკომოდაციის დამბლა
- გ) ჰემიანოპსია
- დ) ქუთუთოს დაშვება
- ე) მხედველობის ველების კონცენტრული შევიწროება

754. თუ გრავამდე ორივე თვალზე მხედველობის სიმახვილე უცნობია, საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვის პროცენტის განსაზღვრისას გრავამდე მხედველობის სიმახვილე პირობითად ჩაითვლება:

- ა) 2,0
- *ბ) 1,0
- გ) 0,8
- დ) 0,5

755. ქვედა ყბის მოგეხილობის შედეგები, გამოხატული თანკბილვისა და ლეჭვის აქტის მკვეთრად დარღვევით, განისაზღვრება:

- ა) როგორც ორგანოს დაკარგვა
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- *გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) როგორც სიცოცხლისათვის საშიფათო

756. კისერზე გეწოლისას სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობას მოწმობს:

- *ა) გემოჩამოთვლილი კლინიკური სიმპტომების კომპლექსი, განვითარებული თავის ტვინის ჰიპოქსიის შედეგად, რაც დასტურდება ობიექტური მონაცემებით
- ბ) ცნობიერების დაკარგვა და ამნეზია
- გ) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა
- დ) სისხლჩაქცევები სახის კანში
- ე) სისხლჩაქცევები ქუთუთოების კონიუნქტივაში და სახის ლორწოვან გარსში

757. III-IV ხარისხის დამწვრობა სხეულის ზედაპირის ფართობის 15% დაზიანებით განისაზღვრება:

- ა) როგორც ორგანოს დაკარგვა
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- *დ) როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო

758. III ხარისხის დამწვრობა სხეულის ზედაპირის ფართობის 20%-ზე მეტის დაზიანებით განისაზღვრება:

- ა) როგორც ორგანოს დაკარგვა
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- *დ) როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო

759. II ხარისხის დამწვრობა სხეულის ზედაპირის ფართობის 30%-ზე ნაკლების დაზიანებით განისაზღვრება:

- ა) როგორც ორგანოს დაკარგვა
- *ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობის მიხედვით
- გ) საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის მიხედვით
- დ) როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო

760. რა არის “თვითღამიანება” (ასოთმაგნებლობა):

- ა) წინასწარგანზრახვის გარეშე საკუთარ თავზე მიყენებული ღამიანება
- *ბ) ღამიანების განზრახ კანონსაწინააღმდეგო მიყენება საკუთარ თავზე
- გ) გაუფრთხილებლობით საკუთარ თავზე მიყენებული ღამიანება

761. თვითღამიანება შეიძლება მიყენებულ იქნას:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ქიმიური ნივთიერებით
- გ) მაღალი და დაბალი ტემპერატურით
- დ) ცეცხლსასროლი იარაღით
- ე) მახვილი საგნით
- ვ) მკვრივი ბლაგვი საგნით

762. თვითღამიანებას იყენებენ შემდეგი მიზნისთვის:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ეკონომიური დახმარების მისაღებად
- გ) სამუშაოდან გასათავისუფლებლად
- დ) სასჯელის შესამსუბუქებლად
- ე) სამხედრო სამსახურიდან თავის ასარიდებლად

763. კანის ხელოვნური ავადმყოფობის გამომწვევ ფაქტორს მიეკუთვნება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ინფექციური
- გ) თერმული
- დ) მექანიკური
- ე) ქიმიური

764. ხელოვნური აბსცესი და ფლეგმონა არ ვითარდება:

- *ა) სამკურნალო პრეპარატების კანქვეშ შეყვანით
- ბ) ქიმიური ნივთიერების კანქვეშ შეყვანით
- გ) უცხო სხეულის კანქვეშ შეყვანით
- დ) ინფიცირებული მასალის კანქვეშ შეყვანით

765. რისი კანქვეშ შეყვანით ვითარდება ხელოვნური “სიმსივნე”: 1. ქიმიური ნივთიერების; 2. ვაზელინის ზეთის 3. სამკურნალო პრეპარატის; 4. პარაფინის

- ა) 2. და 3.
- ბ) 1. და 2.
- *გ) 2. და 4.

დ) 1. და 3.

766. მხედველობის ორგანოს ავადმყოფობათაგან ხელოვნურად შეიძლება გამოწვეულ იქნას: 1. კონიუნქტივიტი 2. კატარაქტა; 3. ბლეფარიტი; 4. გლაუკომა

ა) 2. და 3.

ბ) 1. და 4.

გ) 2. და 4.

*დ) 1. და 3.

767. შარდსასქესო სისტემის ავადმყოფობათაგან ხელოვნურად არ შეიძლება გამოწვეულ იქნას:

*ა) შარდ-კენჭოვანი ავადმყოფობა

ბ) ურეთრიტი

გ) ცისტაიტი

768. რა არის “აგრაფეცია”:

ა) ნამდვილად არსებული ავადმყოფობის სიმპტომების შემცირება

ბ) არარსებული ავადმყოფობის სიმპტომების წარმოსახვა

*გ) ნამდვილად არსებული ავადმყოფობის სიმპტომების გაზვიადება

769. ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას ატარებს:

ა) ექიმი-კლინიცისტები

*ბ) სასამართლო სამედიცინო ექსპერტებისა და ექიმ-კლინიცისტებისაგან შემდგარი ჯგუფი

გ) ერთპიროვნულად, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი

770. ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაში ექიმ-კლინიცისტების მონაწილეობას უზრუნველყოფს:

ა) სამკურნალო დაწესებულების განყოფილების გამგე

*ბ) გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო

გ) სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის ხელმძღვანელი

დ) სასამართლო სამედიცინო ექსპერტი

771. სად ტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა: 1. სასამართლო სამედიცინო ამბულატორიაში; 2. სამკურნალო დაწესებულებაში; 3. სასამართლოს შენობაში

ა) 1., 2. და 3.

ბ) 2. და 3.

*გ) 1. და 2.

772. საქალწულე აპკის ხერელი იზომება:

ა) სახაზავით

ბ) მინის ჩხირით

*გ) ჰიმენომეტრით

დ) თითით

773. საქალწულე აპკის ჩანახევის ხანდაზმულობა ვერ ღვინდება შემდეგ ვადაში:

*ა) 30 დღეში

ბ) 10 დღეში

გ) 7 დღეში

დ) 5 დღეში

774. სქესობრივი შეუღლების უცუარი დამადასტურებელი ნიშანია: 1. ქალის განსაცმელზე სპერმის აღმოჩენა; 2. სპერმის აღმოჩენა ქალის სასქესო ორგანოებში; 3. ორსულობა; 4. საქალწულე აპკის ჩახევა

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 3.

*გ) 2. და 3.

დ) 1. და 2.

775. საქალწულე აპკის ჩანახევის შეხორცება ხდება:

ა) როგორც პირველადი, ისე მეორადი დაჭიმვით

*ბ) მეორადი დაჭიმვით

გ) პირველადი დაჭიმვით

776. საქალწულე აპკის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს:

ა) თავისუფალი კილის სიმაღლე

ბ) ხერელის ზომა

გ) კიდეები
*დ) ფორმა

777. საქალწულე აპკის ნაწილებია: 1. ურეთრული; 2. წინა; 3. რექტალური; 4. უკანა

ა) 2. და 3.

ბ) 1. და 2.

გ) 2. და 4.

*დ) 1. და 3.

778. მთელი საქალწულე აპკის შემთხვევაში შინაგანი სასქესო ორგანოების გამოკვლევა ხდება:

ა) საშოდან ორი ხელით გასინჯვით

*ბ) სწორი ნაწლავიდან ორი ხელით გასინჯვით

გ) კუსკოს სარკეებით

779. საქალწულე აპკის გამოკვლევის დროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა არ უნდა აღწეროს:

ა) ღაზიანებები

ბ) სიმაღლე და ბუნებრივი ჩაღრმავებანი

*გ) ზომები

დ) ფორმა

780. სქესობრივ სფეროში ჩაღრმავებული დანაშაულის დროს ნაცხი ქალის სასქესო ორგანოებიდან აღებულ უნდა იქნას არაუგვიანეს:

ა) 7 დღის მერე

ბ) 5-7 დღისა

*გ) 2-3 დღისა

781. სქესობრივი აქტის განხორციელება საქალწულე აპკის დაურღვევლად შესაძლებელია, როცა აპკი: 1. წელვადია; 2. დაბალია; 3. ხორციანია; 4. გააჩნია ღრმა ბუნებრივი ჩაღრმავებები

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 3.

გ) 2., 3. და 4.

*დ) 1. და 2.

782. პასიურ მამათმავლებს უკანა ტანისა და სწორი ნაწლავის მიდამოში აღენიშნება:

*ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) ლორწოვანი გარსის ჰიპერემია

გ) სფინქტერების მოღუნება

დ) სწორი ნაწლავის ნაოჭების გასაღავება

ე) ძაბრისებრი ჩაღრმავება

783. მამაკაცებში სქესობრივი მდგომარეობის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას ატარებს:

ა) ექიმ-ვენეროლოგების ჯგუფი

ბ) ერთპიროვნულად, ექიმი-უროლოგი

*გ) ექსპერტების ჯგუფი უროლოგთან და ვენეროლოგთან ერთად

დ) ერთპიროვნულად, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი

784. გარყვნილი ქმელებისას შეიძლება განვითარდეს შემდეგი ღაზიანებები:

*ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) ნაჭდევი ბარძაყების შიდა ზედაპირზე

გ) ნაჭდევი და სისხლჩაქცევი სასქესო ბაგეების მიდამოში

დ) სისხლჩაქცევი კლიტორის მიდამოში

ე) საქალწულე აპკის ჩანახევები

785. გარყვნილი ქმელების ფაქტს ადგენს: 1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტი; 2. ექიმი-მეან-გინეკოლოგი; 3. სასამართლო; 4. გამოძიებელი

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 4.

*გ) 3. და 4.

დ) 1. და 3.

786. ვენერიული სენის შეყრის საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ადგენს: 1.

ვენერიული ავადმყოფობის არსებობის ფაქტს; 2. დაავადების ხანდაზმულობას (სტადიას); 3. დაავადების შეყრის გარემოებებს

ა) 1., 2. და 3.

ბ) 1. და 3.

*გ) 1. და 2.

787. შესაძლებელია თუ არა ვენერიული ავადმყოფობის დიაგნოზის დასმა გვაშის სასამართლო სამედიცინო გამოკვლევით:

- ა) შესაძლებელია სიკვდილიდან ოთხი დღის განმავლობაში
- *ბ) შესაძლებელია სიკვდილიდან პირველი 24 საათის განმავლობაში
- გ) შეუძლებელია
- დ) ყოველთვის შესაძლებელია

788. ჭეშმარიტი სქესის დასადგენად სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზეზი შეიძლება იყოს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) შეურაცყოფასთან დაკავშირებული კერძო ბრალდების საქმე
- გ) სარჩელი ალიმენტის გადახდის თაობაზე
- დ) სამხედრო გაწვევისაგან თავის არიდება
- ე) სარჩელი განქორწინების თაობაზე

789. პერმაფროდიტიზმის მიზეზია:

- ა) გარეგანი სასქესო ორგანოების გრაფმა
- ბ) შარდსასქესო სისტემის ქრონიკული ავადმყოფობა
- *გ) ქრომოსომული დარღვევა
- დ) ინფექციური ავადმყოფობა

790. მამაკაცური ტიპის ფსევდოპერმაფროდიტიზმის ნიშანია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სამედიცინო და მიღები ჩანასახოვან მდგომარეობაში
- გ) სასქესო ასოს განუვითარებლობა
- დ) ქალური ტიპის გარეგანი სასქესო ორგანოების ნაწილობრივი განვითარება
- ე) ორი სათესლის არსებობა

791. ქალური ტიპის ფსევდოპერმაფროდიტიზმის ნიშანია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) დიდი სასირცხო ბაგეები გარეგნულად ჰგავს სათესლს პარკს
- გ) საშოს განუვითარებლობა
- დ) ქალის შინაგანი სასქესო ორგანოების არსებობა
- ე) გადიდებული კლიტორი

792. მღვდრობითი სქესის პირებში დაგვიანებული სქესობრივი მომწიფების მიზეზი არ არის:

- *ა) ცხელ კლიმატურ პირობებში ცხოვრება
- ბ) სასქესო ჯირკვლების ფუნქციის ნაკლოვანება
- გ) არაღამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები
- დ) ცუდი კვება

793. ყმაწვილებში სქესობრივი მომწიფების პერიოდის დაწყების ნიშნებია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) თმის ზრდის გამოჩენა ბოქვენსა და ილიებში
- გ) სათესლს პარკისა და სასქესო ასოს კანის საფარის პიგმენტაცია
- დ) სასქესო ორგანოების ზომაში მომატება
- ე) სხეულის სიმაღლის მომატება

794. სქესობრივი მომწიფების დადგენისას საერთო ფიზიკური განვითარების მიღწევის მაჩვენებელი არ არის:

- ა) გულმკერდის გარშემოწერილობა
- ბ) გარეგანი და შინაგანი სასქესო ორგანოების განვითარება
- *გ) კანის საფარის გამოხატული თმის ზრდა
- დ) სხეულის წონა

795. მამაკაცის სქესობრივი შეუღლების უნარის კრიტერიუმია:

- ა) სასქესო ასოს და სათესლეების საკმარისი ზომები
- ბ) ღამის პოლუციები
- *გ) სასქესო ასოს ერექციის არსებობა
- დ) ახალგაზრდა ასაკი

796. მამაკაცის სქესობრივი შეუღლების უუნარობის მიზეზი შეიძლება იყოს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ენდოკრინული იმპოტენცია
- გ) სპინალური (კორგიკოსპინალური) იმპოტენცია
- დ) სასქესო ორგანოების განვითარების მანკები

ე) კორტიკალური (ცერებრული) იმპოტენცია

797. მამაკაცებში სქესობრივი განაყოფიერების უნარი დამოკიდებულია: 1. ასაკზე; 2. სათესლეების ნორმალურ ფუნქციაზე; 3. გარეგანი სასქესო ორგანოების ნაწიბუროვან ცვლილებებზე; 4. სპერმატოგენეზზე

ა) 1., 2. და 3.

ბ) 1. და 3.

*გ) 2. და 4.

დ) 1. და 2.

798. მამაკაცებში განაყოფიერების უუნარობის მიზეზი შეიძლება იყოს:

*ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) თავისა და ზურგის ტვინის მძიმე დაზიანებები

გ) ნეკროსპერმია

დ) სათესლეების ფუნქციის დარღვევა

ე) სათესლის დანაშაგების ორმხრივი გონორეული ანთება

799. ქალებში სქესობრივი შეუღლების უუნარობის მიზეზი არ არის:

ა) ვაგინიზმი

*ბ) საკვერცხეების განუვითარებლობა

გ) საშოსა და საშვილოსნოს გამოვარდნა მაღალი ხარისხით

დ) გარეგანი სასქესო ორგანოების განუვითარების მანკები

800. ქალის უნაყოფობის მიზეზი შეიძლება იყოს:

*ა) ყველა ჩამოთვლილი

ბ) ფალოპიუსის მილების ავადმყოფობანი

გ) საშვილოსნოს ყელის ავადმყოფობანი

დ) საშვილოსნოს განუვითარებლობა

ე) საშოს გამონაყოფის მკაფე რეაქცია

801. ორსულობის სათუო ნიშანი არ არის:

ა) ტუქუს დფრილების პიგმენტაციის გაძლიერება

ბ) გულისრევა და პირღებინება, მადის შეცვლა

გ) ყნოსვითი და გემოვნებითი შეგრძნებების გაუკუღმართება

*დ) გულისცემის გაძლიერება, პულსის გაზშირება

802. ორსულობის სავარაუღო ნიშანი არ არის:

ა) ღაღებითი ბიოლოგიური სინჯები

ბ) მენსტრუაციის შეწყვეტა

*გ) გამონადენი საშოდან

დ) საშვილოსნოს მომატება ზომებში, მისი ფორმისა და კონსისტენციის შეცვლა

803. ორსულობის უტყუარი ნიშანი არ არის:

ა) უღტრავტგერით ან პალპაციით ნაყოფის სტეულის ნაწიღების განსაზღვრა

ბ) ნაყოფის მოძრაობის შეგრძნება

*გ) მუცლის გაზრღა მოცუღობაში

დ) ნაყოფის გულისცემა

804. ორსულობის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმში არ არის:

ა) საშვილოსნოს ზომა

ბ) ნაყოფის პირეელი მოძრაობა

გ) უკანასკნელი მენსტრუაციის თარიღი

*დ) ოფულაციის ღრო

ე) ნაყოფის სიგრძე

805. ყოფიღი მშობიარობის ღამაღასტურებელი ნიშანი არ არის:

ა) ყვეღა ზემოჩამოთვლიღი

ბ) ღოქიების არსებობა

*გ) სამშობიარო გზების ციანოზური ეღფერი

დ) საშოს ნაწიბურები

ე) საშვილოსნოს ყელის ჩანახვევები

806. აბორტის გართუღებაა:

*ა) ყვეღა ჩამოთვლიღი

ბ) სეფსისი

- გ) მწვავე სისხლდენა
- დ) პერიტონიტი
- ე) შინაგანი ორგანოების დაზიანება
- ვ) საშვილოსნოს პერფორაცია

807. ყოფილი აბორტის ნიშანი არ არის:

- ა) საშვილოსნოს ყელის დამწვრობა
- ბ) საშვილოსნოს ყელზე ტყვიის მამით მიყენებული დაზიანებები
- *გ) სასქესო ნაპრალიდან ქაფიანი გამონადენი
- დ) საშვილოსნოს ყელის ჩანახევები
- ე) აქტიური პლაცენტური ქსოვილის ნაწილების არსებობა საშვილოსნოს ღრუში

808. ასაკის დადგენის მეთოდი არ არის:

- *ა) სეროლოგიური
- ბ) სტომატოლოგიური
- გ) რენტგენოლოგიური
- დ) ანთროპომეტრული

809. სასამართლო მედიცინაში განარჩევენ ასაკს: 1. საპასპორტო; 2. ბიოლოგიური; 3. სოციალური; 4. ფიზიოლოგიური

- ა) 2. და 4.
- ბ) 1. და 3.
- გ) 3. და 4.
- *დ) 1. და 2.

810. რენტგენოლოგიური მეთოდით ასაკის დასადგენად მიმანშეწონილია გამოკვლეულ იქნას:

- ა) კიდურები
- ბ) თავის ქალა
- გ) ხერხემალი
- *დ) ხელის მტევნები, ტერფები

811. ნაწიბურის რენტგენოგრაფიული გამოკვლევა ტარდება, რათა დადგინდეს: 1. ნაწიბურის გაფრცელების სიღრმე; 2.

- ნაწიბურის ხანდამშულობა; 3. უცხო ჩანართების არსებობა ნაწიბურის მიდამოში; 4. ძვლების დაზიანებები ნაწიბურის მიდამოში
- ა) 2. და 4.
- ბ) 1. და 3.
- *გ) 3. და 4.
- დ) 1. და 2.

812. მოქ. X - მიიღო სარკინიგზო გრაფმა მარცხენა წვივის ამპუტაციის სახით, შუა მესამედის ღონეზე. მკურნალობდა სტაციონარში 32 დღე. კონკრეტულ შემთხვევაში, რა ნიშნით განისაზღვრება სხეულის დაზიანების ხარისხი (ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხი): 1. სიცოცხლისათვის საშიფათო მდგომარეობით; 2. ორგანოს დაკარგვის ნიშნით; 3. საერთო შრომის უნარის დაკარგვის სიმყარის ნიშნით; 4. ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობით

- ა) 3;4;
- ბ) 2;4;
- გ) 1;2;
- *დ) 1;3;

813. გრაფის შედეგად მოქ. ნს დაუდგინდა დიაგნოზი: მარცხენა მუხლის სახრის ღია სახსარშია მოტეხილობა, მარცხენა დიდი წვივის ძვლის როკის მოტეხილობა. სტაციონარში მკურნალობდა 72 საწოლი დღე. სტაციონარში შესვლისას საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. რა ნიშნით უნდა განისაზღვროს, კონკრეტულ შემთხვევაში სხეულის დაზიანების ხარისხი (ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხი):

- ა) საერთო შრომის უნარის დაკარგვის სიმყარის მაჩვენებლით;
- *ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობით;
- გ) ორგანოს დაკარგვის ნიშნით;
- დ) სიცოცხლისათვის საშიფათო მდგომარეობით;

814. სხეულის ზედაპირის 20 % -ზე მეტი ფართობის მე-3 - ხარისხის თერმული დამწვრობისას, სხეულის დაზიანების ხარისხი ისაზღვრება შემდეგი ნიშნით:

- ა) საერთო შრომის უნარის დაკარგვის სიმყარის მაჩვენებლით;
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობით;
- *გ) სიცოცხლისათვის საშიფათო მდგომარეობით;

815. რა ნიშნით უნდა განისაზღვროს სხეულის დაზიანების ხარისხი, მხრის ვენის ნაკვეთი ჭრილობის დაზიანებისას:

- ა) საერთო შრომის უნარის დაკარგვის სიმყარის მაჩვენებლით;
- ბ) ჯანმრთელობის მოშლის ხანგრძლივობით;

*გ) სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობით;

816. 18 წლის გოგონას მშობლები განცხადებით შევიდნენ პროკურატურაში, სადაც აღნაშაულებენ მათ შვილთან სქესობრივი კონტაქტის დამყარებაში, მის ნაცნობ ვაჟს. აღნიშნულ მდგომარეობაში, ყველაზე სავარაუდოდ პირველ რიგში რა კითხვები დაისმება ექსპერტიზის წინაშე გადასაწვევებად:

- ა) ყოფილი მშობიარობის დადგენა;
- *ბ) საქალწულო აპკის მთლიანობის დადგენა;
- გ) ორსულობის არსებობის დადგენა;
- დ) სქესობრივი სიმწიფის დადგენა;

817. პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სკოლა-ინტერნატის პედაგოგის მიერ 15 წლის მოსწავლესთან თანაცხოვრების ფაქტზე. აღნიშნულ ვითარებაში ყველაზე მეტად სავარაუდოდ პირველ რიგში რა კითხვა დადგება გამოძიების მხრიდან ექსპერტიზის წინაშე გადასაწვევებად:

- ა) ორსულობის დადგენა;
- ბ) საქალწულო აპკის მთლიანობის დადგენა;
- *გ) სქესობრივი სიმწიფის დადგენა;

818. სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს ბრალდებულის ნ-ის მიმართ, რომელსაც წინასწარი პატიმრობა შეცვლილი აქვს გაუსვლელობის ხელწერილით და არ ცხადება სასამართლო პროცესზე, იმ მოტივით, რომ აღვოკატის ინფორმაციით, ქრონიკული ავადმყოფია და აქვს დაავადების გამწვავება. აღნიშნულ ვითარებაში, ყველაზე სავარაუდოდ რა სახის ექსპერტიზა უნდა დანიშნოს სასამართლომ.

- *ა) კომისიური ექსპერტიზა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების და დაავადების შესაბამისი პროფილის მოწვეული სპეციალისტების (ექიმების) მონაწილეობით;
- ბ) კომისიური ექსპერტიზა მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მონაწილეობით;

819. ბრალდებული X - არ ცხადდება პროკურატურაში, იმ მოტივით, რომ იგი ავადია. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ რა კითხვები უნდა დასვას გამოძიებამ ექსპერტიზის წინაშე:

- *ა) როგორია ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო თვალსაზრისით შეიძლება თუ არა მასთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.
- ბ) როგორია ბრალდებულის შრომისუნარიანობა;

გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე

820. ვისი მონაწილეობით ხდება გვამის გარეგანი დათვალიერება შემთხვევის ადგილზე: 1. ექიმი-სპეციალისტი სასამართლო მედიცინის დარგში; 2. ნებისმიერი სპეციალისტი ექიმი; 3. საშუალო სამედიცინო პერსონალი

- ა) 1., 2. და 3.
- ბ) 2. და 3.
- *გ) 1. და 2.

821. შემთხვევის ადგილის დათვალიერება და გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე არის

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) შემოწმება
- *გ) პირველადი საგამოძიებო მოქმედება
- დ) ექსპერტიზა

822. რის საფუძველზე მონაწილეობს ექიმი-სპეციალისტი სასამართლო მედიცინის დარგში შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში: 1. პირადი ინიციატივით; 2. გამოძიებლის მოთხოვნის; 3. პოლიციის ოპერატიული მუშაკის მოთხოვნით; 4. სასამართლოს გადაწყვეტილების

- ა) 2. და 3.
- ბ) 1. და 2.
- *გ) 2. და 4.
- დ) 1. და 3.

823. როდის შეიძლება მოწვეული იქნას ექიმი-სპეციალისტი სასამართლო მედიცინის დარგში შემთხვევის ადგილის განმეორებითი და დამატებითი დათვალიერებისათვის: 1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას; 2. წინასწარი გამოძიების მსვლელობისას; 3. გამოძიების მსვლელობისას

- ა) 1., 2. და 3.
- *ბ) 2. და 3.
- გ) 1. და 2.

824. აქვს თუ არა ექიმი-სპეციალისტს სასამართლო მედიცინის დარგში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერებაში, უფლება გააგრძელოს მონაწილეობა, როგორც სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა:

- ა) არა აქვს უფლება
- *ბ) აქვს უფლება

გ) აქვს უფლება გარკვეულ შემთხვევებში

825. გვამის აღმოჩენის ადგილზე ექიმი-სპეციალისტი სასამართლო მედიცინის დარგში მოვალეა: 1. გააფორმოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; 2. დაეხმაროს გამოძიებულს კვალისა და სხვა ნივთმტკიცებების აღმოჩენა-შეგროვებაში; 3. კონსულტაცია გაუწიოს გამოძიებულს გვამის დათვალიერების საკითხებში; 4. მისცეს განმარტება ჩაგარებული მოქმედებების შესახებ

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 2.

*გ) 2., 3. და 4.

დ) 1. და 3.

826. შემთხვევის ადგილზე დაზარალებულის სიკვდილის უცყუარი ნიშნების არარსებობის დროს ექიმი-სპეციალისტი სასამართლო მედიცინის დარგში ვალდებულია: 1. გამოიძახოს “სასწრაფო სამედიცინო დახმარება”; 2. თვითონ მიიღოს ზომები ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების აღსადგენად; 3. შემოიფარგლოს მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერებით

ა) 1., 2. და 3.

ბ) 2. და 3.

*გ) 1. და 2.

827. შემთხვევის ადგილზე ექიმი-სპეციალისტს სასამართლო მედიცინის დარგში გვამის განსაცმელზე შეუძლია ჩაატაროს შემდეგი მანიპულაცია: 1. გახალის განსაცმელი; 2. გაუხსნას და აუწიოს განსაცმელი; 3. ცალკეულ შემთხვევებში გაჭრას განსაცმელი და ფეხსაცმელი, რის შესახებაც უნდა მიუთითოს ოქმში

ა) 1., 2. და 3.

*ბ) 2. და 3.

გ) 1. და 2.

828. შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერების სტადიებია: 1. სტატიკური; 2. შუალედური; 3. დინამიკური; 4. საბოლოო

ა) 2. და 3.

ბ) 1. და 2.

გ) 2. და 4.

*დ) 1. და 3.

829. შემთხვევის ადგილზე სიკვდილის კონსტატაციისათვის გამოიყენება ნიშნები: 1. სავარაუდო; 2. უცყუარი; 3. მოგვიანებითი; 4. ნაადრევი

ა) 2. და 4.

ბ) 1. და 3.

გ) 2., 3. და 4.

*დ) 1. და 2.

830. სიკვდილის სავარაუდო ნიშნებს არ მიეკუთვნება:

ა) გუგისა და რქოვანას რეფლექსების არარსებობა

*ბ) ჩონჩხის კუნთების ფიბრილაციური შეკუმშვა

გ) ცნობიერების, სუნთქვის, პულსის, გულისცემის არარსებობა

დ) ტაქტილური და ყნოსვითი მგრძნობელობის არარსებობა

ე) კანის სიფერმკრთალე

831. სიკვდილის უცყუარ ნიშნებს არ მიეკუთვნება:

ა) ლპობა

ბ) ტემპერატურის დაცემა 20°C -ზე

გ) გვამური ლაქები და გვამის გაშეშება

დ) ბელოგლამოვის ნიშანი

*ე) ტემპერატურის დაცემა 30°C -ზე

832. შემთხვევის ადგილზე ექიმი-სპეციალისტს სასამართლო მედიცინის დარგში აქვს უფლება, აწარმოოს:

ა) კანის ჭრილობის კიდეების მოჭრა შემდგომი ლაბორატორიული გამოკვლევისათვის

*ბ) წინასწარი სინჯები სისხლის არსებობაზე

გ) კანზე მეტალიზაციის განსაზღვრა

დ) ქალის გვამის სასქესო ორგანოებიდან ნაცხის აღება

ე) ჭრილობის არხის მონდირება

833. გვამის აღმოჩენის ადგილზე უნდა აღიწეროს სისხლის კვალის ნიშნები, გარდა:

ა) ობიექტის გაუღენთვის ხარისხი

*ბ) რაოდენობა

გ) კვალის სახე

დ) ფერი და მდგომარეობა

834. შემთხვევის ადგილზე სიკვდილის ხანდაზმულობის განსაზღვრის მეთოდი არ არის:

- ა) განივბოლიანი კუნთების ელექტროგზნებალობის განსაზღვრა
- *ბ) შინაგან ორგანოებში ფერმენტების გამოკვლევა
- გ) გვამური ლაქებისა და გაშეშების გამოკვლევა
- დ) თერმომეტრია
- ე) მექანიკურ გალიზიანებაზე განივბოლიანი კუნთების რეაქცია

835. სიმაღლიდან ვარდნით სიკვდილისას უნდა დათვალიერდეს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) გამოწვეული საგნები ვარდნის სავარაუდო ტრაექტორიაზე
- გ) სისხლის კვალი ვარდნის ადგილზე
- დ) გვამის აღმოჩენის ადგილი
- ე) გვამი და მისი განსაცემელი

836. გვამის დათვალიერებისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე ექიმმა-სპეციალისტმა სასამართლო მედიცინის დარგში უნდა დააფიქსიროს: 1. გვამის მდებარეობა გზის ნაწილებისა და გარემომცველი საგნების მიმართ; 2. ავტომანქანის ფეხითმოსიარულეზე სავარაუდო დარტყმის ადგილი; 3. ბიოლოგიური წარმოშობის ნივთმკაცვებების აღმოჩენის ადგილი; 4. ცალკეული სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთგანლაგება

- ა) 2. და 3.
- ბ) 1. და 2.
- გ) 2., 3. და 4.
- *დ) 1. და 3.

837. ავტომანქანის ფეხითმოსიარულეზე დარტყმისას გადავლის გარეშე ფეხითმოსიარულის განსაცემელზე შეიძლება იყოს: 1. ავტომანქანის საღებავის ნაწილაკები; 2. ავტომანქანის პროტექტორის ანაბეჭდი; 3. ავტომანქანის მამუქისა და რადიატორის ანაბეჭდი; 4. ავტომანქანის ძირის ნაწილების ანაბეჭდები

- ა) 2. და 3.
- ბ) 1. და 2.
- გ) 2. და 4.
- *დ) 1. და 3.

838. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვლები და სხვა ბიოლოგიური ობიექტები:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ალბულ უნდა იქნას ლაბორატორიული გამოკვლევისათვის
- გ) უნდა აღიწეროს
- დ) უნდა გადაეღოს ფოტოსურათი
- ე) უნდა გაიზომოს

839. სარკინიგზო შემთხვევის ადგილის დათვალიერება არ მოიცავს:

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სატრანსპორტო საშუალების მთლიანად დათვალიერებას
- გ) რკინიგზის უბნის დათვალიერებას
- *დ) სატრანსპორტო საშუალების მხოლოდ წინა ბელაპირის დათვალიერებას
- ე) გვამის გარეგან დათვალიერებას

840. რის მოქმედებით ხდება სხეულის დანაწევრება სარკინიგზო შემთხვევის ადგილზე:

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ბუფერული თეფშის
- *გ) ბორბლის გვერდითი შევრის (რებორდა)
- დ) მამუქის

841. მატარებლის ფეხითმოსიარულეზე დაჯახებისას ელექტრომაგალის (სათაო ვაგონის) წინა ბელაპირზე არ იქნება:

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) განსაცემლის ნაწილები
- გ) თმები
- *დ) ლითონის ნაწილების მნიშვნელოვანი დეფორმაცია
- ე) სისხლის კვალი

842. საჰაერო ტრანსპორტის მიწაზე ვარდნისას გვამების დათვალიერებით აღმოჩნდება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) სხეულის ღრუების გახსნა
- გ) შინაგანი ორგანოების მოწყვეტა და გარეთ გამოვარდნა
- დ) სხეულის ცალკეული ნაწილების მოგლეჯა

ე) სხეულის ვრცელი უხეში მექანიკური დაზიანებები

843. სისხლის კვალის არსებობა გვამის ფეხსაცმლის ან ტერფის ძირებზე, ან ფეხისგულზე მიუთითებს:

- ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ტრავმის მიყენების კონკრეტულ ადგილს
- გ) დაზარალებულის გადაადგილების სიჩქარეს
- *დ) ტრავმის მერე დაზარალებულის გადაადგილებას

844. აფეთქებისას შემთხვევის ადგილზე დაზარალებულის სხეულზე და განსაცმელზე აღმოჩნდება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ახლომდებარე საგნების ნამსხვრევები
- გ) ჭურვის ღეგალები
- დ) აფეთქებული ჭურვის ნამსხვრევები

845. აფეთქების გაღლის მოქმედების ზონაში შემთხვევის ადგილზე არ იქნება:

- ა) ძელების ნაგებები
- ბ) რბილი ქსოვილების ნაგლეჯები
- გ) სხეულის ნაწილები
- დ) დაზარალებულთა განსაცმლის ნაწილები
- *ე) დენთის ნაწილაკები

846. სხეულის ჩამოკიდებით ჩამოხრჩობისას შემთხვევის ადგილზე ოქმში არ ფიქსირდება:

- ა) ქვესაღვამის კვალი რბილ გრუნტზე
- *ბ) გვამის ფეხების კვალი
- გ) ქვესაღვამზე ფეხსაცმლის ლანჩის კვალის არსებობა
- დ) ქვესაღვამის განლაგება გვამის ფეხების მიმართ
- ე) მანძილი ლანჩებიდან იატაკის მუდარამდე

847. შემთხვევის ადგილზე გვამის კისერზე მარყუქის დათვალიერებისას მიუთითებენ:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) მარყუქის მასალას
- გ) ხვეულების რაოდენობას
- დ) მარყუქის ხასიათს
- ე) მარყუქის ლოკალიზაციას

848. გვამის კისერზე მარყუქის ქვეშ შესაძლოა აღმოჩნდეს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) გვამის თითების წვერები
- გ) განსაცმლის ნაწილები
- დ) ჩატანებული თმები
- ე) რბილი ქსოვილის ნაკეციები

849. მარყუქით მოხრჩობისას ან ხელით დახრჩობისას გვამის გარეგანი დათვალიერებით არ გამოვლინდება:

- ა) ექიმოზები სახის კანზე
- ბ) ექიმოზები ქუთუთოების შემაერთებულქსოვილოვან გარსებში
- გ) ენის გამოხრა კბილებს შორის
- *დ) გულის ღრუებში თხიერი სისხლი
- ე) სახის მკვეთრად გამოხატული ციანოზი

850. ხელით დახრჩობისას გვამის კისერზე შეიძლება აღმოჩნდეს: 1. ოფლ-ციმოვანი დაბინძურება თავდასხმელის ხელებიდან;

2. ხელთათმანების ბოჭკოები; 3. ლითონის ნაწილაკები

- ა) 1., 2. და 3.
- ბ) 2. და 3.
- *გ) 1. და 2.

851. შემთხვევის ადგილზე გვამის კისერზე მარყუქის დათვალიერებისას ოქმში მიუთითებენ:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) მარყუქის მასალის დაბინძურებას
- გ) მარყუქის თავისუფალი ბოლოების სიგრძეს და მდებარეობას
